

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2024 წლის 13 ნოემბერი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.118.016396) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბაჩანა მარკოიშვილი

დანართი

თავი I

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	18,721.4	20,276.5	10,912.2	9,364.3	25,037.5	14,938.0	10,099.5
გადასახადები	7,142.4	8,202.6	0.0	8,202.6	8,948.8	0.0	8,948.8
გრანტები	11,080.3	11,560.9	10,912.2	648.7	15,288.7	14,938.0	350.7
სხვა შემოსავლები	498.7	513.0	0.0	513.0	800.0	0.0	800.0
II. ხარჯები	6,341.5	7,489.0	536.4	6,952.6	10,067.3	1,090.9	8,976.4
შრომის ანაზღაურება	2,107.0	2,493.4	0.0	2,493.4	2,951.3	0.0	2,951.3
საქონელი და მომსახურება	2,513.9	2,656.6	469.0	2,187.6	3,346.3	444.3	2,902.0
პროცენტი	27.5	20.3	0.0	20.3	10.9	0.0	10.9
სუბსიდიები	1,196.2	1,733.4	0.0	1,733.4	2,461.9	175.0	2,286.9



გრანტები	-	25.0	-	25.0	75.0	0.0	75.0
სოციალური უზრუნველყოფა	271.2	298.3	60.8	237.5	322.8	58.8	264.0
სხვა ხარჯები	225.6	262.0	6.6	255.4	899.1	412.8	486.3
III. საოპერაციო სალდო	12,379.9	12,787.5	10,375.8	2,411.7	14,970.2	13,847.1	1,123.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15,014.8	11,969.0	8,964.1	3,004.9	19,242.9	16,703.9	2,539.0
ზრდა	15,058.6	12,101.4	8,964.1	3,137.3	19,292.9	16,703.9	2,589.0
კლება	43.8	132.4	0.0	132.4	50.0	0.0	50.0
V. მთლიანი სალდო	-2,634.9	818.6	1,411.7	-593.1	-4,272.8	-2,856.9	-1,415.9
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-2,690.5	763.0	1,411.7	-648.7	-4,328.4	-2,856.9	-1,471.5
ზრდა	-2,690.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	-2,690.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	-763.0	-1,411.7	648.7	4,328.4	2,856.9	1,471.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	-763.0	-1,411.7	648.7	4,328.4	2,856.9	1,471.5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
კლება	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საშინაო	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
სესხები	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	18,765.2	20,409.0	10,912.2	9,496.8	25,087.5	14,938.0	10,149.5
შემოსავლები	18,721.4	20,276.5	10,912.2	9,364.3	25,037.5	14,938.0	10,099.5
არაფინანსური აქტივების კლება	43.8	132.4	-	132.4	50.0	-	50.0
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-



გადასახდელები	21,455.7	19,646.0	9,500.5	10,145.5	29,415.8	17,794.9	11,621.0
ხარჯები	6,341.5	7,489.0	536.4	6,952.6	10,067.3	1,090.9	8,976.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,058.6	12,101.4	8,964.1	3,137.3	19,292.9	16,703.9	2,589.0
ვალდებულებების კლება	55.6	55.6	-	55.6	55.6	-	55.6
ნაშთის ცვლილება	- 2,690.5	763.0	1,411.7	- 648.7	- 4,328.4	- 2,856.9	- 1,471.5

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 25,037.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18,721.4	20,276.5	10,912.2	9,364.3	25,037.5	14,938.0	10,099.5
გადასახადები	7,142.4	8,202.6	0.0	8,202.6	8,948.8	0.0	8,948.8
გრანტები	11,080.3	11,560.9	10,912.2	648.7	15,288.7	14,938.0	350.7
სხვა შემოსავლები	498.7	513.0	0.0	513.0	800.0	0.0	800.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8,948.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	7,142.4	8,202.6	0.0	8,202.6	8,948.8	0.0	8,948.8
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	6,230.6	7,011.7	0.0	7,011.7	7,798.8	0.0	7,798.8
ქონების გადასახადი	911.8	1,190.9	0.0	1,190.9	1,150.0	0.0	1,150.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	848.5	1,116.4	0.0	1,116.4	1,135.0	0.0	1,135.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.1	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	18.8	17.7	0.0	17.7	0.0	0.0	0.0
სასოფლო სამეურნეო ნიშნულების მიწაზე	21.9	27.8	0.0	27.8	5.0	0.0	5.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	22.5	28.9	0.0	28.9	10.0	0.0	10.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 15,288.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	11,080.3	11,560.9	10,912.2	648.7	15,288.7	14,938.0	350.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	265.3	335.3	316.7	18.7	551.4	536.0	15.4
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტი	49.0	0.0			155.6		155.6
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	10,766.0	11,225.5	10,595.5	630.0	14,581.7	14,402.0	179.7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	381.7	427.0	177.0	250.0	378.7	199.0	179.7
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	125.6	380.0		380.0	338.6	338.6	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი მათ შორის:	10,258.8	10,418.6	10,418.6	0.0	13,864.4	13,864.4	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	9,216.5	8,588.6	8,588.6		12,712.9	12,712.9	
მაღალმთიანობის პროგრამა	394.2	1,182.0	1,182.0		503.5	503.5	
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0			0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	648.0	648.0	648.0		648.0	648.0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 800.0 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	498.7	513.0	0.0	513.0	800.0	0.0	800.0
შემოსავლები საკუთრებიდან	335.5	362.0	0.0	362.0	410.0	0.0	410.0
პროცენტები	167.9	237.5		237.5	230.0		230.0
დივიდენდები	30.0	0.0			0.0		
რენტა	137.6	124.5		124.5	180.0		180.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	14.9	33.9	0.0	33.9	35.0	0.0	35.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	14.8	33.8	0.0	33.8	35.0	0.0	35.0
სანებართვო მოსაკრებელი	8.3	26.8		26.8	20.0		20.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.5	7.0		7.0	15.0		15.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.1	0.1		0.1	0.0		0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	22.7	26.4		26.4	50.0		50.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	125.6	90.7		90.7	305.0		305.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 10,067.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,341.5	7,489.0	536.4	6,952.6	10,067.3	1,090.9	8,976.4
შრომის ანაზღაურება	2,107.0	2,493.4	0.0	2,493.4	2,951.3	0.0	2,951.3
საქონელი და მომსახურება	2,513.9	2,656.6	469.0	2,187.6	3,346.3	444.3	2,902.0
პროცენტები	27.5	20.3	0.0	20.3	10.9	0.0	10.9
სუბსიდიები	1,196.2	1,733.4	0.0	1,733.4	2,461.9	175.0	2,286.9
გრანტები	0.0	25.0	0.0	25.0	75.0	0.0	75.0



სოციალური უზრუნველყოფა	271.2	298.3	60.8	237.5	322.8	58.8	264.0
სხვა ხარჯები	225.6	262.0	6.6	255.4	899.1	412.8	486.3

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 19,242.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 19,292.9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 50.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	14.8	48.3	63.1
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	14.8	48.3	63.1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14,807.5	12,025.8	18,502.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,574.1	3,618.0	5,344.3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	636.3	360.7	957.6
02 03	გარე განათება	4.4	52.5	32.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,151.4	1,331.0	711.3
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,879.0	2,380.4	3,904.3
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	529.4	590.3	668.3
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	750.4	753.1	897.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,132.6	2,488.2	5,063.7
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	150.0	447.1	694.5
02 10	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	0.0	4.7	0.0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა	0.0	0.0	228.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	25.0	9.9	1.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	25.0	9.9	0.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	1.2
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	186.5	2.5	138.9
04 01	სკოლამდელი განათლება	0.0	2.5	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	91.9	0.0	82.4



04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	94.6	0.0	56.5
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	24.8	15.0	538.4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2.1	1.8	503.7
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	22.7	9.8	31.5
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	3.4	3.2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	48.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	48.9
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	15,058.6	12,101.4	19,292.9

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	43.8	132.4	50.0
ძირითადი აქტივები	34.7	113.9	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	9.2	18.5	50.0
მიწა	9.2	18.5	50.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,935.8	3,387.0	4,123.4
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,930.3	3,381.6	4,110.6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,930.3	3,381.6	4,061.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	49.3



7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.5	5.4	12.7
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	7,101.6	5,486.5	8,141.6
7.4.5	ტრანსპორტი	5,905.9	3,894.2	5,777.5
7.4.5.1	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,905.9	3,894.2	5,777.5
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	265.3	296.7	576.6
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	930.4	1,295.6	1,787.4
7.5	გარემოს დაცვა	4,749.8	3,293.6	5,951.4
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	525.0	664.6	722.8
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4,172.6	2,516.5	5,093.7
7.5.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	52.2	112.5	135.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,581.8	5,189.8	7,280.3
7.6.1	ბინათმშენებლობა	1,199.6	1,363.3	1,233.3
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,421.5	2,999.5	4,592.2
7.6.3	წყალმომარაგება	689.8	477.9	1,128.5
7.6.4	გარე განათება	270.8	349.1	326.4
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	40.5	54.2	179.7
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	40.5	54.2	179.7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	981.9	1,188.9	2,381.2
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	225.7	385.3	1,008.7
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	743.3	792.9	1,174.7
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	13.0	10.7	197.8
7.9	განათლება	706.0	615.7	843.4
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	443.2	427.9	579.4
7.9.2	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	262.8	177.0	255.6
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	262.8	177.0	255.6
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	10.9	8.4
7.10	სოციალური დაცვა	302.7	374.7	459.3
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	131.9	134.4	170.6
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.1	3.8	8.3



7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	4.1	5.9	11.7
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	87.5	107.5	107.5
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	77.2	123.2	161.2
ს უ ლ		21,400.1	19,590.4	29,360.2

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -4,272.8 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 14,970.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	12,379.9	12,787.5	14,970.2
მთლიანი სალდო	-2,634.9	818.6	-4,272.8

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -4,328.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2,690.5	763.0	-4,328.4
ზრდა	-2,690.5	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	-2,690.5	0.0	0.0
კლება	0.0	-763.0	4,328.4
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	-763.0	4,328.4

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, რომლის გადახდა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 250.2 ათას ლარს, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 194.6 ათას ლარს, 2024 წლის 1 იანვრისათვის იყო 139.0 ათასი ლარი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 83.4 ათასი ლარი.

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	-55.6	-55.6



კლება	55.6	55.6	55.6
საშინაო	55.6	55.6	55.6
სესხები	55.6	55.6	55.6

თავი II

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები
მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდო 02 00)

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 20,515.6 ათასი ლარით.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან და ამოცანებთან: მიზანი 1; მიზანი 6; მიზანი 8; მიზანი 9; მიზანი 11.

დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	20,515.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,777.5
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	5,311.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	448.2
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	18.3
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,128.5
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	928.5
02 02 02	მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვა	200.0
02 03	გარე განათება	326.4
02 03 01	გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია	293.9
02 03 01 01	გარე განათების ქსელის ექსლოატაცია	80.0
02 03 01 02	გარე განათება ელექტროენერჯის ხარჯი	213.9
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	32.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,233.3
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	363.8



02 04 02	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	869.5
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3,904.3
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	3,904.3
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	687.9
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	897.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5,093.7
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	890.4
02 10	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	340.0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტების პროგრამა	236.6

1.1. პროგრამის დასახელება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები ასევე ხმარდება გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსებასა და გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალიტეტში სოფლებამდე მისასვლელი გზების 60% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოს ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ორი ქვეპროგრამა:

- გზების კაპიტალური შეკეთება;
- გზების მიმდინარე შეკეთება.

პროგრამის მიზანია: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი; მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული; მგზავრთა გადაადგილების შემცირებული დრო;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოწესრიგებული და განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა; გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი.

1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული



ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ: დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფელ ლაგვანთა-საკაო-მაჭეთი-ხიდშლების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით კაპიტალური რეაბილიტაცია;
- სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ლაჩთის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ გომში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ჯინჭვისში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის საფარით;
- სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის და ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ წმენდაურში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ პიპილეთი-ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ კომანდელი-ხირხონისი-ქორთა-ქრისტესი-სხიერი გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ შქმერი-მრავალძლის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ წოლაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ პატარა ლებში გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ჟაშქვაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- ქალაქ ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა.

პროექტების დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული გზების კაპიტალურ რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის მიზანია: ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული; მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელ გზებზე მგზავრთა გადაადგილება იყოს დროული, უსაფრთხო და კომფორტული;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მწყობრიდან გამოსული გრუნტის გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ასფალტით, ასფალტო-ბეტონითა და ცემენტ-რკინა ბეტონით, ასევე გრუნტის გზის მოხრეშვა-მოშანდაგება სანიაღვრე არხებით და კიუვეტებით;



1.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდულ ორმულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ჭალაში დაზიანებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოვლილი და მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

1.1.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების მოწყობას და ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაჩერებებზე საგზაო ნიშნების განთავსებას.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოვლილი და მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

1.2. პროგრამის დასახელება წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახალი ქსელის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

- წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია;

- წყლის სისტემის ექსპლოატაცია;

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული ტერიტორია უზრუნველყოფილი იყოს გამართული წყლის სისტემით რათა მოსახლეობას მიეწოდოს ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლი, შეფერხების გარეშე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში გამართული სასმელი წყლის სისტემა.



1.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია კერძოდ სოფელ პატარა ღებში, სოფელ ბოყვიდან კვაშხეთში მიმავალი წყალშემკრები ავზის მოწყობა

მიმდინარე რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანია: სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირებული დაზიანებული სასმელი წყლის სისტემა;

1.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

ქვეპროგრამის მიზანია: სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებები.

1.3. პროგრამის დასახელება გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 95%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- გარე განათების ელ.ენერჯის გადასახადი;
- გარე განათების ტექ.მომსახურება;
- აბონენტად აყვანა;

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით



სრულად დაფარვა; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა; გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

1.3.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 95%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას;
- ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (200.0 ათ.ლარი).

ქვეპროგრამის მიზანია: კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

1.3.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის გაახლება და ახალი წერტილების დამატება სოფლებში ნაკიეთი და გლოლა, ასევე ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.

ქვეპროგრამის მიზანია: კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების გარეშე დარჩენილი უბნების დაფარვა გარე განათების ქსელით.

1.4. პროგრამის დასახელება მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწესრიგება, რეაბილიტაციას სასურველი იერსახისა და უსაფრთხო საცხოვრებელი



გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპოატაცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია;

პროგრამის მიზანია: რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები და ბალანსზე რიცხული შენობები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: რებილიტირებული და მოწესრიგებული საცხოვრებელი კორპუსები; ბალანსზე რიცხული შენობები.

1.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას, მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის მიზანია: არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა. რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები.

1.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეუბნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, ბერშევას სახელობის სკვერში საჭიდაო დარბაზის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამით ასევე განხორციელდება ბულგარეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარში და გლოლაში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია-აღჭურვა, ასევე ტრენინგს 25 ქალისათვის ქალაქ ონიდან, სოფელ ღარისა და გლოლის ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლებიდან.

ქვეპროგრამის მიზანია: ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე; გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოს მთიან რეგიონში, რაჭაში, განსაკუთრებული აქცენტით ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე თემებზე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას ბალანსზე რიცხული შენობები.



1.5. პროგრამის დასახელება კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს ქალაქის გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლებისა და გარე განათების მოწყობას;
- ქ. ონში აგრარული ბაზრის შენობის დასრულებისა და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ქ. ონში ბერშევას სახელობის სკვერის კეთილმოწყობა;
- სოფელ გლოლაში გორი ბოლოსთან არსებული მინერალური წყლის კეთილმოწყობა;
- სოფელ ღებში ჭალების უბანის მინერალური წყლის მოწყობა;
- კურორტ შოვში მოხდარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მომორიალის მშენებლობისათვის.

აღნიშნული პროექტების დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პროგრამის მიზანია: ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, იერსახის შეცვლა-გალამაზება, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განვითარებული ურბანული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის შექმნილი მიმზიდველი და სასიამოვნო გარემო.

1.6. პროგრამის დასახელება საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 06)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების საინჟინრო საზედამხედველო მომსახურება. იგეგმება შემდეგი პროექტების შესყიდვა: 1. ნიგავზები-ფარავნეში-ნაკიეთი, ონჭევი (ბასილაშვილების უბნის ჩათვლით), ქვედი, წედისი-სხანარი, ხეთი-ზვარეთი, ქორთა-ბოყვა, ზედა საკაო, ბორცო, ბარი (კახეთელიძეების უბანი), სომიწოში მისასვლელი გზების და სოფელ სორში და კომანდელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მყარი საფარის მოწყობით; 2. სოფელ ღებში თევრეშო-შიუკაჭალა-სასვანო გორამდე დამაკავშირებელი მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე; 3. ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეებში არსებული გარე განათებისა და დეკორატიული გარე განათების ბოძებზე დამიწების მოწყობაზე; 4. ქ. ონში „რაჭის მუზეუმის“ მუზეუმოგრაფიის პროექტის საფუძველზე განფასების მომზადების მომსახურების შესყიდვა; 5. ქ. ონში მოედნის ტერიტორიაზე და სოფელ გლოლაში ძველ სოფელში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობაზე; 6. სოფელ ჭიორაში, უწერაში, ჯინჭვისში, ქორთაში, ბოყვაში, კვაშხეთში, ნაკიეთში და ქალაქ ონში დაზიანებული წყალსადენის, საგზაო ინფრასტრუქტურის, ნაპირსამაგრისა და მდინარეების კალაპოტის წმენდების სამუშაოებზე; 7. ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაციაზე; 8. ქ. ონში მოედნის ქუჩაზე წყალანირების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე; 9. ყოფილი საავადმყოფოს შენობის საპროექტო დოკუმენტაციის გადაფასება; 10. ქვემო ბარის გზის რეაბილიტაციაზე.

პროგრამის მიზანია: ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და შესრულებული



სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.

1.7. პროგრამის დასახელება სოფლის პროგრამის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 02 07)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით დაფინანსება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. სამუშაოების შესრულება განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტით, რაც დამტკიცებულია საკრებულოს განკარგულებით.

პროგრამის მიზანია: გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად.

1.8. პროგრამის დასახელება სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 08)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება:

- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების წმენდა, რათა უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემამ დაუბრკოლებლად შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება;

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული სანიაღვრე არხების, მდინარის კალაპოტებისა და ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება. ქალაქსა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

1.9. პროგრამის დასახელება მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 09)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ქალაქ ონსა და მიმდებარე სოფლებში ლაგვანთა-ღარი; ონი-ჭიორა-ღები-ონი; ონი-უწერა-შოვი-ონი; ონი-საკაო-მაჟიეთი-ხიდემლები-ონი; ონი-წედისი-ონი; ონი-ირი-ონი; ონი-ქვედი-ონი; ონი-შქმერი-ონი; ონი-შარდომეთი-ფარახეთი-სევა-ახალი ჩორდი-ონი; ონი-ცხმორი-ბაჯიხევი-ონი) და მის ფარგლებს გარეთ (ონი-ამბროლაური-ონი) სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა



შეუწყოს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, გაზრდის ხელმისაწვდომობას პროდუქტებზე, სერვისებზე და კრიტიკულად მნიშვნელოვან ობიექტებზე. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება ერთი ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანის, ორი ავტობუსის შექმნა და მათი ტექ.მომსახურება.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობის ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, სხვადასხვა სერვისებსა თუ ობიექტებზე. დასუფთავებისთვის საჭირო დროის შემცირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ონის მუნიციპალიტეტის დასახლებების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

1.10. პროგრამის დასახლება ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით (პროგრამული კოდი 02 10)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში შექმნილი 2 ბიზნეს კლასტერის (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე და საშუალო კომპანია) უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელების მიზნით გრანტის გაცემა. საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების ზრდა. გაუმჯობესებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

1.11. პროგრამის დასახლება სამოქალაქო ბიუჯეტების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 11)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგელების მეშვეობით მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, მუნიციპალიტეტის მერისთვის წარმოდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროექტების დაფინანსება მოხდება სახლმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 857.8 ათასი ლარი.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი მიზანი 11-თან.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	857.8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	722.8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება	125.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	10.0

2.1. პროგრამის დასახელება დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, მოხდება 6 (ექვსი) ერთეული ბიო ტუალეტების მოვლა-დასუფთავება, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს „მდგრადი ენერჯეტიკის დღესთან“ დაკავშირებით სწავლებას, ცნობიერების ამაღლებას, გარემოზე ზრუნვის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობას.

ქვეპროგრამის მიზანია: ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

მოსალოდნელი შედეგი: დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.2. პროგრამის დასახელება მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში არსებულ სკვერებისა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. **ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად გაზრდილი რეკრეაციული ზონები და მოვლილი მწვანე ნარგავები.

მოსალოდნელი შედეგი: ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მოვლილი სკვერები და მწვანე ნარგავები.

2.3. პროგრამის დასახელება უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება (პროგრამული კოდი 03 03)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული



უმეტესად დარჩენილი ძალების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. პროგრამის მიზანია: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 843.4 ათასი ლარი.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის მიზანი 4-თან.

განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	843.4
04 01	სკოლამდელი განათლება	497.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	82.4
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	56.5
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	199.0
04 05	წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა	8.4

3.1. პროგრამის დასახელება სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი

პროგრამის აღწერა და მიზანი: ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტიურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და მათი ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს: ქალაქ ონში ერთი ბაგა-ბაღი სადაც ირიცხება 115 ბავშვი, სოფელ გლოლაში ერთი საბავშვო ბაღი კვებით უზრუნველყოფით სადაც ირიცხება 10 ბავშვი, სოფლებში ღები, ჭიორა, უწერა, ჯინჭვისი, ჟაშქვა, წედისში, ცხმორი და სორში ალტერნატიული სასკოლო მზაობის ჯგუფები სამ საათიანი სააღმზრდელო მომსახურებით სადაც ირიცხება 15 ბავშვი. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 49 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ჰასპის პროგრამის დანერგვა.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვის უზრუნველყოფა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის; ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების



უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის;

3.2. პროგრამის დასახელება სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ამ პროგრამით გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტში ქალაქ ონსა და სოფელ გლოლაში არსებულ საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე სათამაშო მოედნის მოწყობა.

პროგრამის მიზანია: ბავშვების ფიზიკური ჯანმრთელობისა და შემეცნებითი განვითარებისათვის გარე სათამაშო სივრცის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: მოწყობილი გარე სათამაშო სივრცე.

3.3. პროგრამის დასახელება განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 03)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ამ პროგრამით გათვალისწინებულია ორი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ასევე ქალაქ ონის საჯარო სკოლაში ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკისათვის ოთახის მოწყობა-აღჭურვა.

პროგრამის მიზანია: რეაბირტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები.

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საჯარო სკოლები.

3.4. პროგრამის დასახელება საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. დაფინანსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად.

პროგრამის მიზანია: ყველა მოსწავლისათვის სკოლაში მისასვლელი უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი: საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით.

3.5. პროგრამის დასახელება წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა (პროგრამული კოდი 04 05)



განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტებზე, რომელთაც წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (91 ქულა და მეტი).

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერა მაღალი აკადემიური განათლების მისაღებად, მათში მოტივაციის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: სტუდენტების დაინტერესება მიაღწიონ სწავლაში მეტ წარმატებას; წარმატებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,381.2 ათასი ლარი.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი გავნითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან და ამოცანებთან: მიზანი 4; მიზანი 8.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,381.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,008.7
05 01 01	ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	258.0
05 01 02	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	165.0
05 01 03	სარაგბო კლუბის ხელშეწყობა	75.0
05 01 04	წარმატებული სპორტსმენების დახმარება	7.0
05 01 05	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	503.7
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,067.7
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	182.0
05 02 01 01	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	110.0
05 02 01 02	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	72.0
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	383.0
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	95.0
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	120.0



05 02 05	ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა	70.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	217.7
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	197.8
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	107.0
05 04 01	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	92.0
05 04 02	ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა	15.0

4.1. პროგრამის დასახელება სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული მიმართულების სამი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირებას, რომელიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი და ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“, ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება წარმატებული სპორტსმენების დახმარება. სკოლებში ფუნქციონირებს და ბავშვები ეუფლებიან სხვადასხვა სპორტული მიმართულებებს, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შეკრებებსა და ღონისძიებებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოწესრიგება და ახალი ობიექტების მშენებლობა.

პროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება მომავალი უკეთესი შედეგების მისაღებად.
- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში; რეაბილიტირებული და მოწესრიგებული სპორტული ობიექტები.

4.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 5 სპორტულ



მიმართულებას: ჭიდაობის 2 სახეობას თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი და ტანვარჯიში. სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 152 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ ჭიდაობაში კვირაში 5-ჯერ, კალათბურთში და ფრენბურთში - კვირაში 3-ჯერ, ხოლო ტანვარჯიში - კვირაში ორჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 19 ადამიანი. ასევე ფუნქციონირებს ფიტნესის ჯგუფი, რომელსაც უძღვება ფიტნეს ინსტრუქტორი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.

4.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო სკოლა მამისონი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ფეხბურთს ეუფლება 64 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 15 ადამიანი. კლუბის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, რეგიონებში საქართველოს მთელი მასშტაბით. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვა ფეხბურთში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, საფეხბურთო შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: ფეხბურთის წრით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;

4.1.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სარაგბო კლუბის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონში რეგიონალური რაგბის კლუბი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რაგბის დაეუფლებიან ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვები, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი ჩაუტარდებათ კვირაში 2-ჯერ. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- რაგბის განვითარება და პორულარიზაცია მუნიციპალიტეტში;



- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვა რაგბში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- რეგიონალური სპორტული შედეგების წარმოჩენა, შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: რაგბით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; რაგბით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;

4.1.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წარმატებული სპორტსმენებისა დახმარება (პროგრამული კოდი 05 01 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ეროვნულ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენებისათვის, ონის მუნიციპალიტეტის წლის საუკეთესო სპორტსმენისათვის (ერთჯერადად) ჯილდოს სახით ფულადი დახმარების გაცემა. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- სპორტსმენებისა მოტივაციის ამაღლება მომავალი შედეგების გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ;
- სპორტის სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სხვადასხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა.

4.1.5. ქვეპროგრამის დასახელება კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 01 05)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოწესრიგება და ახალი ობიექტების მშენებლობა. მიმდინარე წელს იგეგმება სოფელ უწერაში, ქალაქ ონში დგვარელისა და ვახტანგ VI-ის ქუჩებზე მინი სტადიონის მშენებლობა, ასევე სოფელ სევაში არსებული მინი სტადიონის დასრულების სამუშაო. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- მოწესრიგებული სპორტული ობიექტები;
 - მომავალი თაობისთვის მოტივაციის ამაღლება დაკავდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებით;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: აშენებული ახალი სპორტული მოედანი.

4.2. პროგრამის დასახელება კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სხვადასხვა კულტურული მიმართულების ა(ა)იპ ების ფუნქციონირების ხელშეწყობას, რომლებიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის



მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი. სახელოვნებო სკოლებში ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს, ბავშვები დაკავებულნი არიან სხვადასხვა შემოქმედებით წრეებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბიბლიოთეკის, მუზეუმის ფუნქციონირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ასევე კულტურული ღონისძიებების ჩატარება. **პროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახლის მოძიება და შესწავლა; წიგნადი ფონდის დაცვა და პოპულარიზაცია; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; შესწავლილი და დაცული კულტურული მემკვიდრეობის ახალი ექსპონატები; გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;

მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში მეტი ჩართულობა;

4.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა. კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი.

4.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 88 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, მერწვას, თექას, ბატიკას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას. სკოლაში სულ დასაქმებულია 9 თანამშრომელი.

ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.

4.2.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი, სასცენო მეტყველების შემსწავლელი წრეები, სულ წრეებში გაწევრიანებულია 207 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 45 თანამშრომელი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება.
- შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.
- დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა.
- მოაწიოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

4.2.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემებში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფიცია-დეზინექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.

ქვეპროგრამის მიზანია: სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები: დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება.

4.2.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -63766 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 25 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.

4.2.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: გაზრდილი ტურისტული პოტენციალი და შემოსული ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

4.2.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეებისა და სხვა ღონისძიებების აღნიშვნას: ონელობა; ახალი წელი; ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი"; მემორიალის ესკიზის მომზადება; მემორიალური დაფის დამზადება, სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება, ველომარათონის გამართვასთან დაკავშირებული ღონისძიება და ფეინთბოლის ჩემპიონატის ჩატარება. ასევე გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის კულტურის, შემოქმედებითი თუ სხვა დანიშნულების ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვისათვის საჭირო ტექნიკის შეძენა.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება; არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების ინფრასტრუქტურის აღნუსხვისთვის საჭირო უნარების განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების გაზრდილი ჩართულობა.



4.3. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დამხმარე შენობის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.

4.4. პროგრამის დასახელება ახალგაზრდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ბავშვები ეუფლებიან ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, ქორეოგრაფიას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა, რომლიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდების შეხვედრები თანატოლებთან და მონაწილეობის მიღება ახალგაზრდულ ღონისძიებებსა და ფორუმებში; ახალგაზრდების ჩართვა საგანამანათლებლო, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში.

პროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ახალგაზრდები იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;

4.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ლიდა გონგაძის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 5 შემოქმედებითი, 2 შემეცნებითი და 2 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 112 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 13 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, ფოლკლორი, ქორეოგრაფიას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების



გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი;

4.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის ონის მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: საგანმანათლებლო მინიმუმ 3 პროგრამის მხარდაჭერა, რომელიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში რისთვისაც ჩატარდება საგანმანათლებლო ტრენინგები და მომწოდებლობას მიიღებს 40 ახალგაზრდა მათ შორის 25 გოგო და 15 ბიჭი; ახალგაზრდების ჩართვა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიზნით; ქვეყნის მასშტაბით მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად, ასევე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ფორუმებში მონაწილეობას, რომლებიც განკუთვნილი იქნება ახალგაზრდული საბჭოებისათვის, რომელთა შემადგენლობაში იქნება 8 გოგო და 2 ბიჭი; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისათვის განხორციელდება მაგიდის ტენისის სამოყვარულო ჩემპიონატის ჩატარება, მომანაწილეთა შორის 25 ბიჭი და 5 გოგოა, ასევე ტენისის ჩემპიონატის ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარი (ტენისის მაგიდისა და ჩოგნები) შეძენა; მუნიციპალიტეტში, როგორც ქალაქში ისე სოფლებში მოეწყობა კინოჩვენებები; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ჩატარება, თამაშის თემატიკა იქნება თვითმმართველობა.

ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; მომავლი პროფესიის არჩევისა და დასაქმების მეტი შესაძლებლობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ცნობიერების ამაღლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 639.0 ათასი ლარი.

პრიორიტეტი კავშირშია “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“-ის შემდეგ მიზნებთან და ამოცანებთან: მიზანი 1; მიზანი 3; მიზანი 16.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
-----------------	-----------------------------------	-------------------



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	639.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	179.7
06 02	სოციალური დაცვა	459.3
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	140.6
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	30.0
06 02 03	ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შექმნასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	100.0
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	0.5
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	95.0
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	6.2
02 06 07	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	5.0
02 06 08	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	8.3
02 06 09	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	66.2
02 06 10	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	7.5

5.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;



პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

5.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: 1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად: ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა; ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ერთათას ორასი) ლარისა; გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 200 (ორასი) ლარი; 3. მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა; **ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

5.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: 1. არასაკენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილექსიის, ფსიქიკური პრობლემების, III-IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით, წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

2. აგრეთვე ფინანსური დახმარება გაეწევათ საახალწლო-საშობაოდ 200 (ორასი) ლარი.

3. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: რეაბილიტაცია აბილიტაცია არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 200 (ორასი) ლარი, საახალწლო-საშობაოდ 200 (ორასი) ლარი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები: ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით.

5.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

